

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორჯაბათს გარდა

უახლესი განცხადებების

დღი ასაკით ასაკზე 1 კობა... ნეკულებრივის ასაკით... რელით ასაკზე ნახევარი კობა. ნეკულებრივის ასაკით ასაკზე მეოთხედია კობა.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწორებს და შეაქვს დასახელებს გამომცემელს წერილებს, დაუბეჭდვლ წერილებს რედაქცია უკუბრუნებს ვერ დაუბრუნებს გეტონს.

განცხადება მიაღება ქართულს, რუსულს და სხვა სხვა. ზგდ.

**რედაქცია**  
 კრებულს შედარებით უკეთესად თანა მარტო თ. ლურჯა.  
 დ. ლურჯაის სახელი, № 2.

**ხელის-მოწერა**  
 შიდად „დროებას“... რედაქციაში. გარეშე  
 კვლავ... ВЪ Тифлисъ, въ ре...  
 Дროба... „Иверია“

**„დროება“ - ივერიის უახლესი**  
 წელიწადში, 6 თვეს, შვიდჯერ  
 „დროებას“... 13 მან. . . 7 მან. . 4 მ.  
 „დროებას“... 9 მან. . . 5 მან. . 3 მ.  
 ცხელში „დროებას“... 6 მან. . . 4 მან. . 2 მ.  
 ცხელში „დროებას“... 5 მან. . . 2 მან. . 2 მ.

**არწრუნის თეატრი**  
 კვირას, 26 ოქტომბერს  
 ქართულ ტრუპისაგან წარმოიდგინება

**I**  
**რას ბინახავს ვეღარ ნახავ**  
 კომედია 3 მოქ. თხ. ა. სავარლისა.

**II**  
**სუსტი მხარი**  
 ვრდელი ერთ მოქმედებათ გადმოკ.  
 დ. მესხისაგან.

ბილეთები ისე იყიდება არწრუნი თეატრის კასისაში და ახნაურთაგან თამბაქოს მაღაზიაში.  
 დასაწყისი 7 1/2 საათზე.

**ტელეგრაფები**

კაბეზარლის ბირჟა, 24 ოქტომბერს.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	95	37
მეორესი	92	62
მესამესი	93	25
მეოთხესი	92	87
აღმოსავლეთის პირველი	90	62
აღმოსავლეთის მეორე	90	62

„დროების“ ფელტონი, 26 ოქტომბ.

**ღამურა**  
 (შღაპარი)

მართა უფურცა თავგუნამ  
 იუკადრისა თავგობა;  
 დასწყევლა თვისი გაჩენა...  
 ბუნების იწყო მან გმობა:

„იმ უსამართლო ბუნებამ  
 თავვით რათ გამაჩინაო?  
 მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,  
 მან ჭერ-ქვეშ მომცა ბინაო!

„მის ეკადრება თავგებთან  
 ძუღლის ბზეკა და ლხენაო?  
 მე შემშვივინოდა ჩიტობა,  
 რომ მეწყო აღმა ფრენაო.

„რომ ეინმე ჩიტათ მაქცევდეს,  
 გამომამამდეს ფრთებსაო,  
 მაფრინდებოდე ერთს წამას  
 მაღავივლიდი მთებსაო!..“

რომ დაასრულა ეს ნატურა,  
 ნახა, რომ ფრთები ესხმება  
 და მეტის სიხარულითა  
 საბრალოს თავ-ბრუვ ესხმება...

აღმოსავლეთის მესამე — 90—62  
 ოქრო, 1/2 იმპერიალი — 8—13  
 თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გი-  
 რაოს ფურცელი — — —  
 შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	218	—
მეორე სესხის	212	25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	24—28	პენსი
ბამბურლი	207	„ცენტი
პარიჯი	257—25	სანტიმი
ვენა	129—50	პაფენიგი
მაკკასისი კერასინი	—	—

**კიდევ ქართულ გიმნაზიაზე**  
 ტფილისი, 25 ოქტომბერს.

მომავალ ნომბრის 2-ს ჩვენს ქა-  
 ლაქში ქდება თვ. მაზრის თავად-  
 აზნაურთა კრება იმ ღონის-ძიებაზე  
 მოსალაპარაკებლად, რომლითაც შე-  
 იძლება ჩვენ შევიღებს სწავლის სახ-  
 სარი მიეცეს.

მოგვხსენებთ, რომ ამ საგანზედ  
 თვ. გუბერნიის ყველა მაზრის თავად-  
 აზნაურთა ჰქონდათ შეკრებილება და  
 მოლაპარაკება და ყველამ თითქმის  
 ერთ-ნამდ გარდაწყვიტეს, რომ სწავ-  
 ლის საქმის ხელის-მოსამართლად თი-  
 თოეულ თავადმა და აზნაურმა იკის-  
 რონ და ვალდებულებით თავს იღწან

ზიზლით შეხედა თვის ტოლებს,  
 დაუყოვნებლივ ავარდა,  
 ჩიტებში გამოერია  
 იმანაც განაწერდა...

ჩიტებმა ახედ-დახედეს,  
 სთქვეს: „— მინ მოსულა ესაო?  
 რა რჯულის ცხოველი არის?  
 ჩვენთან ვინ გააწესაო?“

„თვალ-ტანადობა თავეს უგავს  
 შრთები ასხია ჩვენიო!  
 როგორღაც კეთილსულს არ ჰგავს...  
 შირი არის და სენიო!“

„მგება მტრებმა მოგზავნეს,  
 შემოჩენილიც იყოლო!  
 არიქა, ფრთხილათ იყავით,  
 არავინ გაგვადრიყვოსო!..“

დაუღივლეს, ჩაუნისკარტეს,  
 მაკურეს-გამოჰკურეს ბრჭყალები,  
 სისხლი აღინეს ღამურას,  
 ბამოუბნელეს თვალები!

დაღმა დაეშვა ღამურა,  
 მიმართა ისევ ძველ სადგურს...  
 მაგრამ იქ უფრო შავი ღღე  
 დაუღდა მაშინ უბედურს:

ან ერთ-ღროვებითა და ან მუდამ  
 წლობით ფულის გარდახდა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ  
 თვ. მაზრის თავად-აზნაურნი ამ შემ-  
 თხვევაში თავს არ გამოიჩინებენ სხვა  
 მაზრების თავად-აზნაურთაგან და ესე-  
 ნიც სწორეთ იმ გარდაწყვეტილებას  
 დასდებენ, სწორეთ ისე იკისრენ ფუ-  
 ლის შემოტანას, როგორც სხვებმა  
 გარდაწყვიტეს და იკისრეს.

მაშასადამე, ამ მხრით, ე. ი. მატე-  
 რიალურ ღონის-ძიების, ფულის მხრით  
 ჩვენს მომავალს საშუალებას სასწავლე-  
 ბელს არავითარი დაბრკობება არ  
 მოელოს. როდესაც ყველა მაზრების  
 თავად-აზნაურნი ვალდებულნი იქნე-  
 ბიან, რომ შემოიტანონ ამ საგნისა-  
 თვის ფული, შემოიტანენ კიდევ და  
 ამ ნაირად სასწავლებელს არსებობის  
 საშუალება არ შემოაკლდება.

მაგრამ ახლა სხვა დამაბრკოლებე-  
 ლი მიზეზები წამოაყენეს. შემდეგი  
 სიტყვები გაგიგონეთ ჩვენ ზოგიერთ  
 პირებისაგან:

— ქართული გიმნაზია! როგორ შე-  
 გიძლია ჩვენ გიმნაზიის გახსნა და  
 შენახვა? მასწავლებლები ვინ გვეყო-  
 ლება? სადა გვაქვს სახელმძღვანელოე-  
 ბი? შეველა დაბრკოლებაც რომ დაე-  
 სძლიოთ, მარტო ქართულის ენით,  
 ქართულად საგნების ცოდნით სად

თავგებმა აითვალწუნეს,  
 აღარ მიიღეს, რომ ნახეს,  
 მივარდნენ ერთად საკბენად,  
 „— ჰკა მავასაო!“ დასძახეს...

მაშინ კი მიხვდა ღამურა,  
 რომ ანგარიში წაუხდა  
 და მისი ნატურა უფურთხი  
 საჭირ-ბოროტოთ აუხდა!

ბეიანლა იყო! მაფრინდა  
 ბაკიცხულ, თავ-ლაფ-დასხმული,  
 ერთ ძველ ნანგრევში შეფრინდა  
 და მოიბრუნა იქ გული.

მას შემდეგ ნანგრევში ბუდობს,  
 ღღე-ღღე ვერ ჩნდება სირცხვილით  
 და მუდამ ამას წრიბინობს  
 ქენესით და გულის ტკივილით:

„ძრულ-იყოს მისი სახელი,  
 მინც მთა გასცვალოს ბარზნად!  
 თვის ტომის დამწუნებელსა  
 შირი მიუა კარზნად!“

„ხურავინ ისხამს სხვის ქურქსა  
 და ნუ სცელის თვისსა ენასა,  
 თორემ ბოლოს დროს მოიძვრება  
 ჩემსავით ცრემლითა ღწნასა!“

უნდა გავუშვათ ჩვენი შევიღები, სად  
 უნდა განაგრძონ იმათ სწავლა, რო-  
 მელ უმაღლესს სასწავლებელში მიი-  
 ღებენ ამათ მარტო ქართულით?

ამ გვარ დამფრთხობ აზრებს აგრ-  
 ცულებენ ზოგიერთები და არიან ჩვენ-  
 ში ისეთი პირები, რომელთაც მართ-  
 ლა სჯერათ, მართლა ჰგონიათ, რომ  
 ჩვენი მომავალის გიმნაზიადამ არაეი-  
 თარი სიკეთე და ხეირი არ გამოვა.

მაგრამ ორიოდ მაგალითი სრუ-  
 ლიად კმარა ამ გვარ მოსაზრებათა  
 დასარღვევად და გასაქარწყლებლად.  
 ზერ სახელმძღვანელოების თაო-  
 ბაზედ.

ამ ოცის ოც-და-ათის წლის წინათ  
 რუსებს იმდენი და ისეთი სახელმძღვა-  
 ნელოებიც კი არა ჰქონიათ, რამდე-  
 ნიც და როგორებიც ამ ჟამად ჩვენა  
 გვაქვს. მაგრამ ახლა, არა თუ გიმნა-  
 ზიებისათვის, უნივერსიტეტისათვისაც  
 კი თითქმის ყველა საჭირო სახელ-  
 მძღვანელოების შედგენა სრულებით  
 ისეთი ძნელი საქმე არ ყოფილა, რომ  
 ამას რაიმე დაბრკოლების მიცემა  
 შეეძლოს სასწავლებლისათვის. როცა  
 საჭიროება და მოთხოვნილება აღ-  
 მოჩნდება, სახელმძღვანელოებიც მა-  
 შინ დაიბადებიან.

მეორე დაბრკოლება, რომელსაც  
 წინ უყენებენ მომავალს ჩვენს გიმნა-

„ზადაგარების მოსურნე  
 ბუნებისაგან კრულია!  
 მისი პირადი ღირსება  
 შოველგან დაჩაგრულია!“

„ძველ-ტომში გამოსხლეტილსა  
 არ მოუშლიან კბენასა  
 და ახალ-ტომშიც გაჰკიცხვენ:  
 დაუწუნებენ ფრენასა!“

„ძრულია მისი ხსენება,  
 მინც დაჰგობს დედა-ენასა  
 თვის ტომს ღალატობს და მითი  
 თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!..“

**გზაპირის უანიშნავი**  
 (შეაღიდამ საგურამოდისი)  
 (დასასრული\*)

მწიწკში ფრიალ მდარე პური იცის;  
 ხეხილი სრულიად არაფერი. ადგილ-  
 მამული სახელმწიფოა გარდა მცირე-  
 ლის ნაწილისა, რომელიც ეკუთვნის  
 თ. ღ. ჩ.— შეიღეს ძმებითურთ. აქ  
 სცხოვრებენ ქართველნი (ხეესურები)  
 შუბთაერესი სოფელი აქ საყდრიონია,  
 \*) ის. „დროება“ № 225.



ზიან ამაზე უფრო სუსტი და ადვილად დასარღვევის დაბრკოლებაა. აქაც მაგალითები გამოგვადგებაო:

რამდენი ვიცით ჩვენ რუსის გიმნაზიაში კურს შესრულებული ყმაწვილი კაცი, რომელთაც თავის სწავლა სამხლევარ გარეთის უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გაუგრძელებიათ! რამდენი პოლშელი გენახავს, რომელიც შინაურული განათლება მიუღიათ, პოლშურს ენაზე შეუსწავლიათ გიმნაზიის ყველა საგნები და შემდეგ რუსის უნივერსიტეტებში შესულან და იქ შეუსრულეზათ სწავლა!

ქართულ გიმნაზიაში კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცს, რასაკვირველია ერთი ორად უკეთ ეცოდინება რუსული ენა, ვინემ პოლშელს, რომელსაც შინ უსწავლია საგნები, ანუ რუსს, რომელსაც ნემეცური და ფრანცუზული ენა გიმნაზიაში უსწავლია და მერე ან ბერმანიისა ან საფრანგეთის უნივერსიტეტში გაუგრძელებია უმაღლესი სწავლა; მაშასადამე ქართულ გიმნაზიიდან გამოსულ ყმაწვილს რუსულად მერე სწავლის გაგრძობა სრულებით არ გაუძნელდება.

მართის სიტყვით, თუ ჩვენს მომავალს გიმნაზიას ამის მეტი სხვა დაბრკოლება არა აქვს, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმას არავითარი დაბრკოლება არ ჰქონია...

ახალი ამბები

მეტეხის სატუსალო ბიბლიოთეკის მოთავე მღვდელი ი. ლომაური გვთხოვს გამოაცხადოთ და გაზეთით მადლობას სწირავს ერთ ვილაც უცნობ პირს, რომელმაც სხენებულ ბიბ-

რომელშიაც იმყოფება მთელის მრწოს სასოფლო პურის ბედელი მალაზია. როგორც ვითხრეს, აქ წელს 4000 კოდი პურია მოსაკრებიო...

შეუდევით იმ მთასა, რომელიც ჰყოფს მრწოს საგურამოდან. აგედით იმ ადგილამდ, საიდგანაც ჰსჩანს მშვენიერად მარცხნივ მრწო, მარჯვნივ—პრაგვის ხეობა საგურამოთი. ამ მთიდან გადასახედმა მომაგონა სიგი ზომბორის ქედი, რომლიდგანაც მშვენიერად სჩანს ერთის მხრით ტურფა მხენით, მეორეს მხრით მოტიტვლებული ტფილისის არე-მარე...

რამდენადაც მრწო მალა სძევს ზღვის ნაპირიდან პრაგვის ხეობაზედ იმდენად პრაგვის მხრისაკენ აღმართ-დაღმართი მალაღალია, ვიდრე მრწოსასაკენ (შუა მთის ქედიდან). შეიძლება ვსთქვათ, რომ პრაგვის ხეობა უდაბლესია (ულრმესია) სხვა საქართველოს ხეობებზედა.

მრწოს თავიდან (მთიდან) დაემეგება პრაგვისაკენ ერთი უზარ-მაზარი ერთბაში დაღმართი, სიგრძით ექვს ვერსზედ მომეტებული, ასე რომ ამაზედ უარესი ოღორ-ჩაღორ აღმართ-დაღმართი თუმცა მინახავს, მაგრამ

ლიოთეკისათვის 600 სხვა-და-სხვა წიგნი შესწირა რუსულს, სომხურს და თათურულს ენებზედ.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ მეტეხის ეკლესიაში ისყიდება წმ. შუშანიკის სურათები, რომელიც ლეიპციღში ამოუტყვევებია და დაუბეჭდვინებია ბ. საბინის. მითო სურათი ექვს შაურად ისყიდება. შემოსავალი ამ სურათების გასყიდვისაგან დანიშნულია წმ. შუშანიკისათვის ისეთისავე ლუსკუმის გასამართავად, როგორც გააკეთებინა საბინისმა წმ. ნინოს საფლავისათვის.

მზურგეთიდან გვწერენ, ამას წინათ იქ კინალამ ერთი დიდი უბედურება არ მომხდარა იმის გამო, რომ ადგილობრივ მაზრის უფროსს განუზრახავს, რაღაც სულო უბრალო საქმისათვის, მზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა. საქმე აი როგორ ყოფილა:

მრთ თავადიშვილის სახლში ქორწილი ყოფილა. ძეიფისა და ჩვეულებრივ გურულის ლხინის შემდეგ, როცა ყველას დაუძინია, ამ დროს მასპინძლის სახლს რამდენიმე ყაზახი-რუსი შემორტყმია გარს; პრისტავს სახლის-პატრონი გაუღვიძებია და უთქვამს, თქვენს სახლში იმყოფება თ. ვ. მ—ვი, მაზრის უფროსისაგან ბრძანება მაქვს, უნდა დავატუსალოვო.

მასპინძელს გაუჩივრებია პრისტავი, სანამ თ. ვ. მ—ვი თვითონ მაზრის უფროსთან წავა და მოვლაპარაკებო. მართლაც, ის წასულა და როცა მაზრის უფროსი გამოუღვიძებიათ, უთქვამს, ტყუილია, სრულიად მე არ მომიცია თქვენი დატუსალების ბრძანება პრისტავისთვისო.

ამისთანა ერთბაში დაღმართი (მრწოდან) და ერთბაში აღმართი (საგურამოდან) არ მინახავს! მთლავი-დამ მთილისში ჩასვლა. (ზომბორის გზით) უჩივრებია საქონელს, ვიდრე ახატნის აღმართზედ ამოტანა ტვირთისა...

მაგრამ დაუბოლოვებელი არა არის-რა ქვეყანაზედგათავდა აღმართი და ჩავედით სოფ. ახატანში. ამ სოფელში მცხოვრებთ მემამულეთ თ. თ. ტუხიშვილებს კარგი მთა აქვსთ ხშირის ტყით შემოსილი, მეტადრე ხშირია აქ მუხა. ამისათვის ამ სოფლის და ახლო-მახლო ლობებები უბრალო მანის შავიერად, მუხის მარგილებით არიან შეღობილნი, მუხის სარი უღვა აგრეთვე ახატნის და ახლო-მახლო სოფლების ვენახებსა.

ახატანში გზა ორად იყოფა: მარცხნივ მიდის საგურამოსაკენ, ხოლო მარჯვნივ სოფ. შოპორტისაკენ. ჩვენ საგურამოსაკენ გავემართეთ. საგურამო მივსვამსება იმ ქართლის ნაწილს, რომელიც მდებარეობს მდ. მტკვრის პირზედ სოფ. ძევეიდან მოყოლებოლი ქ. ზორამდინ. აქაც ისე სოფლები აქა-იქ ტრიალს მინდორზედ ვათანტუნნი, ზოგი მთების

მოუხმით პრისტავი და პირში წაუყენებიათ მაზრის უფროსისთვის. თ. ვ. მ—ეს, როგორც გვწერენ, თავი დაუხსნია, მაგრამ პრისტავი კი დაუთხოვნიათ სამსახურიდამ! პრისტავი რა და ნაშაული იყო?

მასაკვირველია, როგორ არ უნდა იცოდეს მაზრის უფროსმა, რომ იმას არა აქვს უფლება დაატუსალოს, განსაკუთრებით იმისთანა უბრალო შემთხვევაში, მაზრის თავად-აზნაურთა წარმომადგენელია...

„დროების“ კორექსონდენსია

დ. სინვალი. 19 იქტო „დროების“ მე-№ 212 წავიკითხე სინვალი-დამ კორექსონდენსია, რომელშიაც მოყვანილია სოფ. ძელქცეულის გლეხების საჩივარი მასზედ, თუ რა წვალებაში არიან იგინი ჩაცვიფრულნი პრიკაზში დაგირავებულ „საბაშიო მამულის“ გამო, რომელზედაც იგინი სცხოვრებენ. რადგანაც ამ მამულის და გლეხების გარემოება მე დაახლოვებით ვიცი, საჭიროთ ვრაცხ უფრო დაწვრილებით უამბო მკითხველს ის, თუ მართლაც რა ვაჭირვებაში და შევიწროებაში არიან ჩაცვიფრულნი ყელქცეულენი გლეხნი ამ მამულის გამო.

„საბაშიო მამული“ 1000 დლიური იქნება. აგერ ოცი წელიწადი მეტია, რაც თ. ი. აბაშიძემ, აწ გარდაცვალებულმა, პრიკაზში 900 თუმნათ დააგირავა. ეს ფული ვერაფერ შეიტანა; მამულიც პრიკაზმა ამ ფასათ ვერ გაჰყიდა და ამიტომ პრიკაზს იგი სასარგებლოთ დარჩა.

ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში მამულია რამდენიმე აკეუნნი გა-

გურებზედ; იგრეთვე ქართლული მიწური სახლები მკირედ ხეხილით შემოსილი კარ-მიდამო, ნამეტნავად გამოღმა მრწოს მხრივ. თუმცა გაღმა-გამოღმა საგურამოს მტკვარი არ ჩამოუღის, მაგრამ ნაცვლად მტკვრისა აქ შუაში მომდინარეობს ხევი... საზოგადოდ საგურამოში ნაკლებად არის წყალი, როგორც მაგ. სოფ. შლოვის არე-მარეში ქართლში. მახუშტი ამბობს:

„მარნა არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, პირ-უტყვი-თა, ნადირითა, ფრინველითაო“.

ეს დიან მართალია. ხეხილით ნამეტნავად ის მხარეა მდიდარი და ნაქები, რომელიც ამ ქამდ ეკუთვნის თ. ილ. ჭავჭავაძესა და გენ. სტაროსელსკისა. მის არ გაუგონია თ. ბურამიშვილის უშველებელის ზერის ატმის ქება... მენახები და ღვინო კი იმდენად არაფერია აქ, რომ ლაპარაკდ ღირდეს. პური და ნამეტნავად ფეტვი უხვი და მშვენიერი სკოდნია... მთა ტყეს კი ცხადად ეტყობა სამწუხარო შედეგი მთილისის მახლობლობისა: საშინლად გაოხრებულია ტყეები, მთილისში უთავბოლოდ შემისხილილით კი არა, უთავბოლო კა-

მოიცვალა, რომლებიც მამულიდან თუ 50 თუმნისას სარგებლობდნენ. პრიკაზში შექონდათ მხოლოდ 50-100 მანეთადის. ამიტომ სათაფრო ფულმა სარგებლის ზედ წვეთიც უფრო იბევრა. ამ ბოლო-დროს, მგონი ხუთი წელიწადი უნდა იყოს, მამულს თვის-ნება აკეუნნი თ. დ. შაველენიშვილი გამოუჩნდა, რომელსაც მარტო მამულის შემოსავალი კი მიჰქონდა, (გავიგე მხლა კი ჩაუბარებია).

მრთმა ამ მამულის მომიჯნავე თავადს შეიღმა ტ. მაჩაბელი შეხედა, რომ „საბაშიო მამულს“ პატრონი აღარავინ ჰყავსო, წამოუტყავ ხელი და ზოგი პრისტავი შემოუტარა, ეს ჩემიო, ზოგან ჩივილით გლეხ-კაცებისაგან ლაღები აკრიფა და ამ ნაირათ „საბაშიო“ მამულის ნახევარი დაისაკუთრა. . . . ჩვენი გლეხ-კაცი, რომელსაც ათასნაირი ყოჩაღი შესაქმევით და გასაგლეჯავით დასტრიალებს, იქაც, სადაც ყოველი-კაცი დაცული უნდა იყოს უსამართლოებისაგან, ხან-დის-ხან თავის შესახებ შეუბრალებელ მოქმედებას ჰხედას.

ამ ცოტა ხნის წინთ სინვალის მომრიგებელ მოსამართლის გარდაწყვეტილების პირი ჩამივარდა ხელში და სხვათაშორის ამოვიკითხე:

„ტ. მაჩაბელი თხოულობს ჩიტაძეს გარდახდეს რვა დღის მიწის ღალის ფასი, რვა კოდი სიმინდისა 64 მან. დანიშნულმა მოწმებმა აჩვენეს: თ. მაჩაბლის მხრით, მ. ძაქაშვილმა: ჩიტაძემ მოხნა მაჩაბლის 4 დღის მიწა, კოდი სიმინდი ღირს 6 მან.;— ჯიოშვილმა: ჩიტაძემ მოხნა სამი თუ სამდღე-ნახევრის მიწა მაჩაბლისა, კოდი სიმინდი ღირს 4-5 მან. ჩიტაძის

ფეთა. არ შეესცდებით რომ ვიწინასწარმეტყველოდ: თუ აქ ტყეები იმ გვარადვე ჰკაფეს, როგორც აქამდის უკაფეთ, სამი ოთხის წლის შემდეგ ისეთივე მოშიშვლებული მთები-ლა დარჩებიან, როგორც საგურამოს მინდვრები!

ზამოღმა საგურამოში გამაკვირვა შემდეგმა გარემოებამ, ერთს მრველში, რომელიც შესდგება ოთხი ხუთში სოფლიდგან, ერთი ეკლესიაც არ არის! (არა გავს ზოგიერთ ძახეოის სოფლებს; მაგ. მაჩაბიანთში 8 ეკლესიაა სამწირველო) აქაური მღვდელი თურმე სახლებში ლოცულობს... ეს გარემოება მიუღია მხედველობაში ერთს აქაურს მემამულეს ბატ. ილ. ზვიდლიშვილსა (იგივე მთილისის მომრიგებელ მოსამართლე ბატ. წინამძღვაროვი) და უკისრნია თავის სოფელში თავის საკუთარის ხარჯით ეკლესიის აღშენება თავის მიცვალებულის ცოლის ოღლას სახსოვრად წმ. ოღლას სახელობაზედ. მე ვნახე ეკლესიის საძირკველიც, რომელიც მიწის პირათ არის ამოყვანილი. ეკლესია თუმცა პატარაა, მაგრამ მშვენიერს გვეგმაზნედა დაწყობილი.



მხრივ მოწმეებმა აჩვენეს: ბ. სამხარაძემ: ჩიტაძესაგან მოხსული მიწა კარგათ ვიცო, საცა არის, ის მიწა მაჩაბლოს სრულებით არ ეკუთვნის; ლ. წაწოლიაშვილმა: ჩიტაძემ მიწა მოხსა, ღალაც უნდა მიეცა და კი არ ვიცო, ვისთვის. მოსამართლემ დაადგინა: ჩიტაძეს გარდახდეს 32 მან.—და საქმის საწარმოებელი ხარჯიც.

მერ გავიგე ეს 32 მ. მოსამართლემ საიღამ გამოიანგარიშა. მართმა მოწამემ ნახნაფი 4 დღის უჩვენა და ფასი კოდი წსიმინდისა 6 მ.; მეორემ ნახნაფი 3 დ. და ფასი 4 მ.—რიგი და სამართალი არ მოითხოვდა, რომ მოსამართლეს ნაჩვენებდამ საშვალო რიცხვი, რაიც 15 მან. მეტს არ იზამს, გამოიანგარიშებინა?

ამ განაჩენის წაკითხვის შემდეგ, ვკითხე ჩიტაძესა:

— რატომ არ უთხარ მოსამართლეს, თუ გადახდებდა რამე, ისევე სიმინდს მიეცემითქო?

— შეც დალოცვილო, რა ვიცოდო, თუ ვგრე შეიძლებოდა! მიპასუხა მან.

— სასამართლოში წასვლამდის რატომ არავის დაეკითხე?

მე ბატონო, რომ იტყვიან გლეხის გაჩენაში ღმერთი არ რეულოა, სწორეთ ასრე უნდა იყოს. მაჩაბელმა ისრე როდილა მადროვა, რომ მეკითხნა ვისთვისმე. შუა ღამისას თითონ ჩამოიტანა „პოვესკა“, იმ დროს ვისთან მივიდოდი, მეორე დღეს კი რაჟრაჟითვე „სუდისკენ“ მავსწიე. მგრე ეშმაკობით იქცევა ის ჩვენი ამამწყვეტი მაჩაბელი. „პოვესკები“ ყოველთვის ვგრე შუა ღამისას მოაქვს, და აბა, ბატონო, განა არ იცი, ჩვენ სუდისა რაც გავცეგება! მივალთ და რაც გინდა ცამდინ მართალი ვიყოთ,

მკვლელების აღშენების გარდა ბატ. წინამძღვაროვს განუზრახავს უფრო უკეთესი და მისაბაძევი საქმე: მას დაუპლანინებია თვისი მამული ევროპიულის სოფლის მსგავსად, მიუცია თავის სოფელთათვის (სოფ. ზეიდლიანთ-კარი), რომ იგინი დასახლდნენ იმ რიგად, წყობით, როგორც ნაჩვენებია გვემაზედ. მამულსაც თურმე უსასყიდლოდ აძლევს გლეხებსა, — ოღონდ თქვენ რიგზედ დასახლდითო... ეს საქმე დიხ საქები და მისაბაძევი ჩვენის თავად-აზნაურთაგან; მისაბაძევი მეტადრე იმ გვარ მემამულეთაგან, რომელნიც სულსა ჰხუთვენ თავის მამულზე მცხოვრებ ხიზნებსა. ბატ. ილ. წინამძღვაროვისთანა კაცები რომ უფრო ხშირად და უხვად გამოჩნდებოდნენ, უეჭველათ, ათის თხუთმეტის წლის შემდეგ საქართველოს ოღრო-ჩოღრო და არეული სოფლები ევროპიის (ნამეტნავად შერმანის) სოფლებს დაემსგავსებოდნენ!...

საღამო ხანი იყო, როდესაც ვავემგზავრენით სოფ. შოპორტისაკენ. მიდრე შუა სოფელში არ შევედით, შოპორტი თვალთ ვერ დავინახეთ თითქოს ახალ პატარაძლსავეთ პირის-სა-

მინც ჩვენ გავამტყუნებენ. მკანონები, არ ვიცი, სულ ჩვენ წინააღმდეგათ არიან დაწერილნი, თუ არა. მანცელორიაში სუყველას იცნობს მაჩაბელი და აბა, რასაკვირველია, ჩვენ იმასთან რა გავგივია!

მართლაც და უმეტარ გასწორგასწორა მოლაპარაკე გლეხს სასამართლოებში გამოცდილ კაცთან რა გაუვა? შელქცეულში სამოდე გლეხი, რომლებიც მაჩაბლის მიწაზე დგანან, მიმხრობილი ჰყავს იმას და რაც უნდა, იმას ამათქმევენებს.

შველა ზემოთ მოყვანილმა მოწმეებმა, მეც და მთელმა სოფელმაც კარგათ იციან, რომ ჩიტაძისაგან მოხსული მიწა არის „საბაშიო“ და არა მაჩაბლისა. ბევრჯელ შემოუჩივლიათ გლეხებს გულხეთქებით: — რა ექნათ რა მივაგვართ, ღამის ამოგწყვიტოს ამ მაჩაბელმა; მინდორზე საქონელს ეგ აღარ გვაშვებინებს, იძახის, საბალახე ამოტელო და ამოტელო მამეცითო, თითო კოდ სიმინდში რვა-რვა მანეთს გვართმევს, ცალკე მავს უნდა ვაძლიოთ ღალა და ცალკე პრიკაზს, — რომელ ერთ ჭირს გაუძლოთ? ნეტავ წინამძღომელი გეყავდეს ვინმე, რომ პრიკაზმა ან ჩვენ მოგეყიდოს ეს მამული და გარდაწყვეტილს ფასს წლობით შევიტანთ, ან არა და რაც ავეკუნებს შეაქეთ, ერთი ორათ იანგარიშონ და პრიკაზში პირ-და-პირ ჩვენ შევიტანთ ფულათ!..

მგონი, პრიკაზმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს და უკანვე დაიბრუნოს ის 300 დღის მამული, რომელიც მაჩაბელმა „საბაშიო“ მამულს ჩაჭრა.

პრიკაზი კარგს იზამდა, რომ იმ მამულს ყველქცეულელ გლეხებს მის-

ნახავს თხოულობსო! სოფლამდის არის კარგა მოვრცელო კაკლის ჭალა, რომელიც, როგორც დამარწმუნეს, შეიცავს არა ნაკლებ 4,000 მსხვილს კაკლის ხესა. ამ კაკლების იჯარას თვითეული ჭოპორტელი კომლი იხდის ექვს-ექვს შაურსა. თვით სოფლამდის და სოფელის ორ-ღობებში ისეთი ტალახის ტბებია, რომ თქვენი მოწონებულნი; არა ნაკლები მერიდის ტბისა — მგვიბტეში!

სოფელი დაბლობში მდებარეობს, ზედ მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზედ, წილენის სტანციის პირ-და-პირ, ძავეკავის გზაზედა. მე ჩემს დღეში არ მიწახნავს შოპორტისთანა მჭიდროდ დასახლებული და უსუფთაო სოფელი: წარმოიდგინეთ მართლის სოფლების ყოველ-გვარი ნაკლულეფანება და თვალ-წინ წარმოიდგებთ სოფ. შოპორტი. ტიპია, რადა, ტიპი მართლის სოფლისა! მართს სახლს ვერ ნახავთ ძივიელ იშვიათია), რომ წინ 4—5 ჩორსო საყენიანი ეზო მინცა ჰქონდეს! საქონლის პატივი, ყოველ-გვარი უსუფთაო ნაგავი შეადგენენ ჭოპორტელთა კარ-მიდამოს მორთულობასა. ამას რომ დაეუმატოთ შუა სოფელში რამდენიმე მკვდარის მკატის, ძაღლის

ყიდდეს. იმათ იმის ყიდვა კიდევ შეუძლიანთ და კიდევ სურთ. ამ საქმეში, რასაკვირველია, მაზრის უფროსმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს. მამულს მთელი სოფელი გაიყოფს და შენახვედრის დანაგვართ თითო კომლი ფულს წლობით გარდხდის. ზოგიერთა გლეხს ს. შელქცეულში წელიწადში ოცი თუმანი შეუძლიან შეიტანოს. პრიკაზში.

X.

## თეატრი

### მათული წარმოდგენა

24 აგტომბერს.

ბ. მესხის სასარგებლოდ დანიშნული წარმოდგენა ორივე მხრით საამო და სასარგებლო წარმოდგენა იყო: მართს მხრით, საზოგადოება ბლომად მოგროვდა და, უეჭველია, რომ ამ საზოგადოებამ ჯეროვანი ესთეტიკური სიამოვნება მიიღო, რადგან წარმოდგენა ჩინებულად წაიდა; მეორეს მხრით ამ ბლომა საზოგადოების მოგროვებამ მოიტანა ის ნაყოფი, რომ ის პირი, ვის სასარგებლოდაც წარმოდგენა იყო დანიშნული ხელ-ცარიელი არ დარჩა...

„აფგოკატები“ ითამაშეს თ. რაფ. მრისთვის ახალი სამ-მოქმედებიანი ორგინალური კომედია. ამბობენ, ავტორმა ეს პიესა გავლილ ზამთარში პრემიაზე წარუდგინა ჩვენ თეატრალურს კომიტეტსაო, მაგრამ კომიტეტმა დაიწუნაო და არათუ პრემია, წარმოდგენის ღირსიც არ განადგო. თუ ეს მართალია, მართო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ იმ კომიტეტში თეატრის საქმისა და სცენურ

და სხვის მძოვრის მყარალი სუნი, — ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი დახშული, მძიმე და მომხიბლავი ჰაერი უნდა ტრიალებდეს ამ არაგვის ხეობის შემარცხვენელს სოფელში! ჩემს იქ მყოფობის დროს ერთი მოკლული ცოფიანი ძაღლი ეგდო შუა სოფლის გზაზედა და მის გადაგდება ვერ მოეხერხებიათ, ანუ უკედ ესტკვით — ვერ ეთავებინათ!..

ამ გვარის უსუფთაო ჰაერის წინააღმდეგ აქაურები არაყს ხმარობენ... აქაური ხალხი ყოფილა ხელ-მოკერილი და თითქმის ძუნწიცა. მს, ვგონებ, აიხსნება ტფილისის სახლობითა. შოპორტელებს ფრიად დიდი გამოარჩომა ჰქონიათ შალაქიდგან, შვინდი, კვინჩი, ტყემალი, პანტა, მაქალო და სხვა ტყის ხილი ჯერ ისევე მკვანე იკრიფებიან ჭოპორტელთაგან, რომ მოკრეფვა არავინ დაასწროთ; სახლში ძალად მოაწვევენ ანუ დაარბილებენ და ჩააქეთ შალაქში გასასყიდად. ხილი ყოველ-გვარი, ერთის სიტყვით, რაც კი შალაქში გაისყიდება ყველაფერი ჩააქეთ. აქაურს აბეზღიქს ემღურებიან; ეს ბატონი მეტყვევც არის და სოფლის ბატონიცო: როგორც უნდა იმ ფასად ჰყიდის ტყე-

ხელოვნების მცოდნე პირები არ ყოფილან.

მართლაც, თუმცა ეს პიესა წუხელის სრულებით უნაკლოლოდ არ ყოფილა წარმოდგენილი, თუქა ზოგიერთ მოთამაშეებს, სხვათა შორის, როლები უცოდნელობაც კი ეტყობოდათ, მაგრამ ის მაინც ყველასთვის ცხადათ აღმოჩნდა, რომ თვითონ პიესა, თუ ზოგიერთ წერიმალ ნაკლულეფანებას არ მიეკცევეთ ყურადღებას, ჩინებული სასცენო პიესა არის და ავტორის აზრიც — ახლადილ ადვოკატების დაცინება — ცოცხლად არის იმაში გამოხატული. შბრალო მომქმედ პირსაც ვერ ნახეთ ამ პიესაში, რომ ნამდვილს ახლანდელს ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული და გამოხატული არ იყო. მიიღეთ ამასთან მხედველობაში თ. რაფ. მრისთვის მშვენიერი ენა, ზედ-მიწვენიო ცოდნა სცენისა; მახვილად მოგონილი ინტრიგა პიესისა — და დამეთანხმებით, რომ, თუ პრემიის ღირსი არა, (რადგან არ ვიცით — რა პირობები არის, ანუ იყო საჭირო პრემიისათვის), რამდენჯერმე წარმოდგენის ღირსი მაინც იყო „აფგოკატები“.

რაიცა შეიხება წუხანდელ წარმოდგენას, როგორც ზევით მოგახსენეთ, ეს წარმოდგენა სულ უნაკლოლო არ ყოფილა, მაგრამ არც იმდენი და ისეთი ნაკლულეფანება ყოფილა, რომ მაყურებელს სცემოდეს თვალში და შეეძლოს სთქვას, რომ პიესა სუსტად წაიდაო.

პირ-იქით ზოგიერთ მოთამაშესცენის მოყვარულებმა და ტრუპის წევრთაც ისე კარგათ, ცოცხლად ითამაშეს, რომ უკეთესი, მგონი, არც კი შეიძლებოდა. მაგ. გასათხოვარ ქალის (თამარის) როლი ე-ქნა ნ. თარხანო-

საო; ვისზედაც უნდა გაჰყიდის, ვისზედაც უნდა არაო... აქაურის მღვდლისათვის ეკვლეცია დაუკეთათ სიძველისა გამო და ახლა უსაქმობის გამოისობით, როგორც აქაურებმა ილაპარაკეს, მიკიტის დუქანში დახლიდრობა და ჩარჩობა დაუწყვილა... შოპორტში ვენახები ბლომად არის, მაგრამ ღვინო ზამთრის შემდეგ ფუჭდება სრულიად. თვითონ ვაზს 3-4 რქას და მიმეტებულსაც არჩენენ აქა... შოპორტის ტყეებიც გაკაფულ-გამოკაფულია დაუდევრობისა და უთაგბოლოდ ხმარებისა გამო...

სწორე მოგახსენოთ, ვერ მომივიდა თვალში და ჭკვაში აქაური ხალხი და მხარე (სოფლები.) მესამეს დღეს დავტოვე შოპორტი და გამოვეშურე იმავე გზით ტურთა ძახეთისაკენ...

ბ. მამსაშვილი — ც.  
ქ. თელავი, 1880 წ.  
ქუქისთვის 23-სა.


ვისამ ისე ლაზათიანად ითამაშა, რომ გვეგონა გამოცდილი აქტორისა იყო სცენაზე; აგრეთვე მშვენიერად შეასრულა თავის როლი (დარბაისელ ქალისა—მეკლე ჯანელისა) კ-ნა ნ. მრბელიანისამ; მ. აბაშიძე მოხუცებულ სომხის პრუთინას როლში წამდელი, ცოცხალი პრუთინა იყო; თვითონ ამის როლი პიესაში, განსაკუთრებით ის ადგილი, საცა ის ნათლულს უქებს სულხან ამაყდეს და ურჩევს იმას მიათხოვოს თავის ქალი, როცა ის ასწევს—თუ რამდენ სხვადასხვა „ობრესტოვს“ და „კლუპის“ წვერიანა, რა სწავლულიანა, ეს ადგილი ისეთი მშვენიერია; იუმორით საესე ადგილია, რომ სუსტი მოთამაშეც კი სიცილით გახეთქდა მაყურებელს, და თქვენ წარმოადგინეთ მ. აბაშიძე კი რაღა იქნებოდა ამისთანა როლში. ჩვენ-და-სასიამოვნოდ შევნიშნეთ, რომ ა. საგარელს ამ წარმოდგენაზე ერთი-ორად უკეთესი მიხერა-მოხერა ჰქონდა სცენაზე, ვინემ ჩვეულებრივად. მძიმე როლი ჰქონდა იმას ამ პიესაში (სოლ. მილოვისა), მაგრამ მაინც დასძლია და რიგიანად ასრულა.

ზოგიერთი ისეთი აქტიორებია, რომელთათვის მაყურებელს ყოველთვის ეშინიან: ჰგონია, აი აგერ შესცდება რამე, აი აგერ წაბორძიდება და გააფუშებს თამაშის შთაბეჭდილებასაო. ამგვარ აქტიორებს არ ეკუთვნიან კ. შიფანი და ზ. მაჩაბელი: როდესაც ისინი სცენაზე არიან გული დამშვიდებული გაქვს, რადგან წამდელიად იცი, რომ თავის როლს არასოდეს არ წახდენენ და ხშირად სხვის გაფუჭებულსაც გამოაკეთებენ.

მაგიერად დივერსტიმენტში წუხელი ცოტა-ცოტათი თითქმის ყველამ ჩაიკოჭლა: ნ. ბაბუნია პირველი სიმღერა—მუხამბაზი—ჩინებულად იმღერა, მაგრამ რო გამოიხმეს და „აღმართ, აღმართ“ სთხოვეს, ყელზე ხელს იღებდა, მტკიანეო, და ორიო-ოდე ხანა სთქვა, ისიც ძალიან სუსტად; აკ. წერეთელი ორჯელ-ამჯერ წაბორძიკდა თავის მშვენიერ ახალ ლექსის კითხვის დროს (რომელიც დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება); მ. აბაშიძე კომიკურ კუბლეტებს ისეთის მოწყენილს მოღუშულის სახით ამბობდა, თითქმის მიცვალებულს ადგია თავსაო,—ერთიც არ გაიღიმა დალოცვილმა; პ. შიკაშვილს შეკრთომა ეტყობოდა, მაგიერად ბ. ბ. შარბიძეს და საგარელს არც შეკრთომა ეტყობოდათ და არც წაბორძიკებულან. პირველ ამათვანმა მაინც თავის ძლიერის ხმით ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე.

პონტური, მიხაკის ფერი, ფეხებზე თეთრი წინწკლები.  
 შინც ნახავს და „დროების“ რედაქციაში მოიყვანს, ჯეროვან ჯილდოს მიიღებს.  
 (3—1)

**Будущий въ г. Нахичевань по казенной подорожной ищеть себя попутчика.**  
 Спросить въ Эзаршескомъ домѣ.  
 (2—1)



მოსკოვში, მიანნიცკის ქუჩისა და ლიუბიანი შეიღის კუთხეში

**მოიპოვება შემდეგი მაშინები:**  
 მრთქლის მაშინები 3—25 ცხენის ძალისა.  
 სალესავეი მაშინები 28 ფუტამდინ სიგრძით.  
 საბურღევეი მაშინები.  
 საშალაშინებელი მაშინა.  
 მონომეტრები, კრანები, არმატურა.  
 პთეულის (დესიატიჩია) სასწორი.  
 ინგლისის ქამრის ტყავები.  
 რკინის ტრუბები (მილები) და სხე-და სხე.  
 აქვე ჰქისრულობენ სხვა-და-სხვა ქარხნების გამართვას.  
 პრესკურანტი (ფანების სია) მსურველს მოთხოვნისათავე გაეგზავნება.  
 4—2

პატივი მაქვს თქვენის პატივცემულ საზოგადოებასა და განსაკუთრებულ წამდელ თათრულ თამბაქოს მოყვარეებს ვაცნობო, რომ ამ თვეში მე მივიღე მსმალეთილად ჩემი თამბაქოს ფაბრიკისათვის საუკეთესო და უმაღლესი ხარისხის თამბაქო მნიჯისა, მებოვეისა, შერჯანისა, ბასმისა, ხრმი-სა, ბაჭრასი და სამსონისა. ამ ზემოხსენებულ ექვსი ჯურის თამბაქოსაგან გაკეთებული და დამზადებული თამბაქო გირვანქა ელირება 4, 5, 6, 8, 10, და 12 მან.; 1 გირვანქა სამსონის თამბაქო გაიყიდება 3, 4 და 5 მანეთად.  
 მსურველს მომართოს ჩემს თამბაქოს მაღაზიაში სასახლის ქუჩაზე არწრუნის ქარვასლაში, № 1.  
 მალაქს გირეშე მცხოვრებნი პირდაპირ ჩემს სახელობაზედ გამოგზავნიან წერილსა და თან ხვედრ ფულს

**განცხადებანი**  
 დაიპარება ძალი  
 სახელად „თურაჯ“ ნიშნები: ხუთი თვის ლეკვი, მოდგმით მოტლანდიის

ლაბარებული თამბაქო პირველის ფორტივე გაეგზავნება მომთხოვნელს.  
 თამბაქოს ფაბრიკანტი  
 ნ. გოზარჯიანი  
 3 2

**მთავარი კანტორა დანდობით ამხანაგობისა**  
**„იანოზ კასუ-მოვი და ახ.“**

პრევენის მოედანი ბ. ჯაყელის სახლი.  
 შიღულობს და ჰყიდის ყოველ წაირ სარგებლიან ქალაღებს; იძლევა სესხს სარგებლიან ქალაღების და 5% მოგებით სესხის ბილეთების გირაოთი ერთიად 12 თვემდე. სესხის გადახდა შეიძლება ერთად ანუ თვე-და-თვე გადახდით.  
 სხვა ბანკებში დაგირავებულნი ქალაღები შეიძლება ძანტორამ გამოიყილოს და თვითონვე დაგირავეს სესხის მომატებით.  
 სხვა ქალაქებში და ტფილისის მიღამო სოფლებში მცხოვრებ მოვაღეთა შეუძლიათ 1% ქალაღები ფოშტით გამოგზავნონ კანტორის სახელ-ობაზედ, და ძანტორა დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ ნაუწყი აღრესით ფულებს და ვასხებითი ხელ-შეკრულობას.  
 ძანტორა იღებს ფულებს, რომელ-ზედაც იძლევა, პირობათა გამოცლამდე:

- 1) შემონახულებათაან-გარიშებისამებრ და მოთხოვნილებამდე — — 4 1/2 %  
 საპირობო ანგარიშისა-სასამებრ — — — 5 —  
 2) 6 თვით ვადით შე-მოტანილ ფულზე — 5 1/2 —  
 12) თვის — — — 7 —  
 მითი წლის მეტით — 8 —

3) საგანგებო პირობებით შემოტანილ ფულზე ამხანაგობის 1 ხარისხის პაის პატრონთა. — 9 —  
 შემოტანილ ფულების 1% ანგარიში წელიწადში ორჯელ მოხდება, სახელ-ობრ: 30 ნოემბერს და 31 მაისს; ვადით შემოტანილ ფულებზე კი, შემომტანთ სურვილისამებრ, შეიძლება 1% თავიდავე გადახდილ იქმან.  
 ძანტორაში შეტანილი ფულის თანხა, თუ შემომტანის სურვილი იქნება, ვადის გასვლამდინაც შეიძლება დაბრუნებულ იქმანას: მოთხოვნისა 10 დღის შემდეგ, სარგებლის გამოთვლით წლიური 5% ზომით, იმაზე უფრო ბევრი რასაც კანტორა იძლევა შემომტანისთანავე,  
 სხვა ქალაქებში და ტფილისის მიღამო სოფლებში მცხოვრებთ ფულის შემომტანლებს, რომელთაც შესანახავად ფულის შემოტანა სურთ, შეუძლიათ ისინი ფორტით გამოგზავნონ და იმათ იმწამსვე გაეგზავნებათ სათანადო მოწმობა.

ამხანაგობაში მყოფ პირებს, ვექსილებით სესხების მიცემის დროს,

ცნობილ პირთა თავდებობის მანტინა ახდევინებს:  
 თვე-და-თვე გადასახად სესხზედ — — — — 10 %  
 ძვირაში ერთხელ — — — — 9 —  
 მაღამდე გაღუბდებობით სესხი მიცემა ჭირმასთან საგანგებოდ შეთანხმებით.

შიღის მოგებიან 5% ბილეთს ორივე სესხისა, შემოსატან გადასახადის დროებით; ამასთანავე ბილეთის მიღებულს და ხვედრი ფულის ამ რიგად გადახდელს, მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ხედეს იმ 20 ნომრებს, რომელიც მოხსენებულია მოწმობაში, ოთხს ტირაჟში.

იღებს შეკვეთას მდგის ექვს სხვა-და-სხვა ნაირ მშვენიერ თვისების ხარისხის ფქვილზე, ხორბალზე, ქერზე, დიკაზე და სხე. და სხე. ზომიერ ფასებით. ამ საწარმოვეთა ნიმუშების ნახვა შეიძლება მთავარ ანტორაში.

სრული და დაწერილებითი ცნობანი და ახსნა საქმისა, მსურველთ შეუძლიათ ყოველ დღე დილის 9—დამ 2—მდე; დღესასწაულობით და კვირაობით დილის 8—დამ 10 სათამდე.  
 (10—2)

**საქართველოს მკურნალობა**  
**წუხლში დაღუპვისაგან მშველელ საზოგადოებისა**

რომლის დამფარველად ითვლება მისი იმპერატორებით უმაღლესობის ტახტის-მემკვიდრის მუღლე, გამართავს ამ კვირას, 26 ოქტომბერს ალექსანდროვის ბაღში

**სახალსო დღე-სასწაულს**

- ზრტვანამა დღესასწაულისა:**
- 1) ბაღის ზემო და ქვემო ნაწილის მშვენიერად განაღება.
  - 2) ტრანსპარანტი, რომელშიც გამოსახული იქნება საზოგადოების მოქმედება.
  - 3) ხორც სამხედრო მუსიკისა, მოძღვრები და ნაციონალური მუსიკა.
  - 4) სპი დიდი ჭაროსტატი სხვა-დასხვა ფერ პუნჯაღის ცუცხლით განათებული.
  - 5) მშვენიერი ჭიქიერკეკი, კენჭელი საზოგადოების მფარველისა; კენჭელის ორივე მხრით ფანტასტიკური ჰაგილიონები ბრილიანტის აუხებით. დასასრულ ეგულს სამხედრო მუსიკის ხორცები შეერთდებიან ერთად და დაუგვიან „ზარისა“ და მთელი ბაღი პუნჯაღის ცუცხლით განაღდება.

დაიწება ნასადღევის 4 საათზე  
 ბაღში შემოსის ფასი 20 კაპ.